№ 172. აგვისტოს 9, ხუთშაბათი. 1866—1884 აგვისტოს 9, ხუთშაბათი. № 172.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე 7 კაპ.—განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს; დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დან წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

ქვირ ს, 12 მარიამობისთვეს.

სურამის სტენის მოყვარეებისა და ბ. კოტე ეფოვანის მონაწილეობით და დახმარებით „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ იქნება წარმოდგენილი:

I

ილია ჭავჭავაძეს «სცენები».

II

„თამარ-ბატონიშვილიდგან“ მეოთხე მოქმედება.

III

«ცოლი თუ გინდათ, ეს არის»!

IV

დივერტისმენტი.

ბ. კ. ეფოვანი წაიკითხავს რუსულ და ქართულ ლექსებს.

ბ. ს. მგალობლიშვილი გალეურ სტენებს. (2—1)

შინაური ქრონიკა.

═ ამ თვის 12-ისთვის, სურამში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენა არის დანიშნული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ბელეტრისტი ბ. ს. მგალობლიშვილი, კნ. ბაგრატიონისა, არტისტი ქართული დრამატიული დასისა კ. ეფოვანი და სხვანი. შემოსავალი დანიშნულია „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ჩვენ დიდის სიამოვნებით მივეგებებით საზოგადოების ყოველ გვარს მონაწილეობას ამ საკეთილო საქმეში, რომელიც ყველასაგან მისაბაძი და სამადლობელი საქმეა. რამდენიმე ამ გვარი წარმოდგენა მცირე შემწეობას არ მისცემს ჯერედ ნორჩს საზოგადოებას, რომლის დახმარებაც უნდა ვალად დაედოს ყველას, ვინც ჩვენის ქვეყნის აღორძინებას მარტო ღვინის სმითა და «მრავალ ჟამიერის» სიმღერით კი არა ცდილობს, არამედ საქმითა და შრომით ჰსურს სამსახური გაუწიოს.

═ ჩვენ მოგვივიდა ერთი წერილი ოზურგეთის მაზრის მცხოვრებელისაგან, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ და რომლის მოწერილის სიმართლეში ეჭვი გვაქვს, მაგრამ მაინც ვბეჭდავთ მას მოკლედ. წერილის უცნობი ავტორი ამბობს, რომ ოზურგეთის მაზრაში ზოგიერთს ალაგას უნდა იყოს ვაზის მტერი ფილოქსერაო. მე ნამდვილად არ ვიცი, სწორედ ფილოქსერაა თუ არა, მაგრამ ეს ათი წელიწადია, რაც მეწიეთისა და ჯვარცმის საზოგადოებათა ვენახების ვაზი ფუჭდება რაღაცა ჭიის მიზეზით და ეს ჭია, ვგონებთ, ფილოქსერა უნდა იყოსო.

მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა და ურიგო არ იქნება, რომ საჭილოქსერო კომიტეტმა მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება.

═ სურამიდგან გვწერენ: «თუ სადამდის მიდის სასოფლო მოხელეთ ზოგიერთა პირთ აღვირ-აწყვეტილობა და სითამამე, მკითხველი აი ამ გარემოებიდგანაც შეიტყობს: სურამში, როგორც მოგეხსენებათ, ჯარი სდგას და ამისგან ძალიან სარგებლობაში არიან აქაური ვაჭრები... ადგილის უქონლობის გამო ჯარი მერმის აღარ აპირებს მოსვლას და რომ სურამელებმა მთავრობის გულიც მოიგონ, თავიანთი ჯიბეც ლაღად არ დასტოვონ და საზოგადო «მოღვაწეთა» სიაში ჩაწერილ იქმნან, გადასწყვიტეს სასოფლო ადგილის მიცემა მთავრობისათვის ჯარის დასაყენებლად, მაგრამ ჯარის გამგეობამ ეს ნაჩუქი ადგილი დაიწუნა... საქმე ცუდად იყო... ამის შემდეგ, არ ვიცი «სხვის» ჩაგონებით, თუ რაიმე განძრახულობით სურამის მამასახლისმა ადგილობრივ გლეხებს, ზელაშვილებს, გამოუცხადა: «თქვენი ზოგიერთა საკუთარი მამული ჩამოგერთოთ და ჯარს ჩაჰბარდაო, ეახარმები უნდა აშენდესო... მართალია, საქმე ცუდად არისო, მაგრამ შემიძლიან კომანდირთან მოვილაპარაკო და საქმე მოვაგვაროთ!! ხალხს გული გაუსკდა, დააპირა ან ადვოკატის დაქერა, ან მამასახლისის გაგზავნა კომანდირთან და ფეხის ქირის მიცემა. ძალითაც გაგზავნიდნენ «აკოფას» (მამასახლისს), რომ ერთს ხალხის გულის შემატკივარს პრისტავთან არ გაეგზავნა გლეხები მოწერილობის კოპიოს ასაღებად. პრისტავთან მივიდენ გლეხები და შესჩივლეს თავისი უბედურება.—პრისტავს გაუკვირდა: არამც თუ მოწერილობა, მაგაზე კრინტიც არ არის დაძრულიო, მოუტყუებიხართო და სხ.. იმედია, ამ გარემოებას ადგილობრივი მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და უფრო დაბეჯითებით გამოიკვლევს საქმის გარემოებას სხვა მოხელეთა შესაშინებლად მაინც, თორემ „აკოფას“ ვინ შეაშინებს, ოთხთავ მხრით გამაგრებულა კაცი «ბობოლეებისაგან».

═ სოფ. ძეიშხეთიდგან გვატყობინებენ: „აქ საშინლად გავრცელებულია ქუნთრუშა (скарлатина) და ყურის მგდებელი კი აქამომდე არ გამოჩენილა, თუმცა კი ადმინისტრაციის ყურადღებამდის მიუხწევია ამ გარემოებას. იმედია ეხლა მაინც მიაქცევს სამაზრო ადმინისტრაცია ყურადღებას და რამე ღონის-ძიებას იხმარს ამ სენის მოსასპობლად».

═ «კავკაზში» სწერია, რომ აგვისტოს 6 ელვა-ქუხილმა თბილისში უბრალოდ არ ჩაიარა და ჩამოვარდნილი მეხი დაეცა მ. ი. მირზოევის სახლსაო. საზეფხულოდ წასული სახლის პატრონები ძოჯორში ყოფილან და ამ გარემოებას გადაურჩენია იგინი უბედურობასა. სახლის ჭერს ცეცხლი

«დროების» ფელეტონი, აგვისტო 9.

ლიტერატურული ქრონიკა

წერილი პირველი.

(«იბერიის» №№ V და VI, 1884 წ.)

„იბერიის“ უკანასკნელს წიგნში პირველი ადგილი უჭირავს ბატ. არტურ ლეისტის წერილს „ძართული ლიტერატურა“. როგორც მკითხველსაც ეცოდინება, ბ. ლეისტი პატიოსანი და კეთილ-მობილური სწავლული მოსარჩლე და მოყვარულია ჩვენის ერისა, რომლის წარსული და აწმყო მას ხეირიანად აქვს შეგნებული. პატივცემულს ლეისტს კეთილი საქმე განუზრახავს,—მას სურს მეროპას გააცნოს გმირული, ისტორიული საქართველო: ეერძოდ ქართველებისათვის ეს წადილი მით უფრო ძვირფასი და საქებარია, რომ ჩვენ, ქართველები, არა ვსცდილობთ — ევროპას გავაგებინოთ ჩვენი ავი და კარგი... ძართული ლიტერატურის ბედზე ხომ კარგი რამე მაგდენი არა ითქმის-რა... ამ ლიტერატურის ბედი მართლაც რომ საკვირველია. ძართული კათედრის პროფესორები გაჩუმებულან და, მეროპას ვინ დაგიდევს—ქართველებმაც არ ვიცით: რას აკეთებენ კათედრის მეპატრონენი, მეცნიერების მოსამსახურენი. აქამომდე არც ერთს ჩვენს პროფესორს ხმაც არ ამოუღია თავის მოღვაწეობაზე. მკითხველმა საზოგადოებამ არ იცის — რა სიბრძნე და სწავლა მოიპოვება მათ რვეულებში, ხელთ-ნაწერებში... ითქოს ეს საზოგადოება ღირსი არ იყვეს მათის სიბრძნისა, მეცნიერებისა!.. აი რისათვის ყველა პატიოსანი ქართველი დიდის სიამოვნებით მიეგებება ბატ. ლეისტის შრომას. რას ვიზამთ, მკითხველო! ჯერ ისევ სხვებმა უნდა იზრუნონ ჩვენზე, ჩვენ კი სხვებს უნდა შევსცქეროდეთ და მათგან ვისწავლოთ ჩვენი ვინაობა, ჩვენი წარსული და აწმყო... ვინ იცის, როდის მოელება ბოლო ამ სათაკილო მდგომარეობას... ეს კია, რომ ჩვენ გვყვანან პროფესორები, რომლების სწავლა-მეცნიერება აუდიტორიის ოთხკედელ შუა ისმის და ამ კედლებს არ გასცილებია. დროა, რომ ეს სწავლა-მეცნიერება მოიფინოს მთლად მკითხველს საზოგადოებაში, დროა ჩვენმა პროფესორებმა გააგებინონ საზოგადოებას — რას აკეთებენ, რას ასწავლიან იგინი მოსწავლე ახალგაზდობას...

ბატ. ლეისტის წერილი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილი შეიცავს ძველს ლიტერატურას, მეორე ახალს. მთლად წერილს საგნის ცოდნა ეტყობა, თუმცა კი თითო-ოროლა შეცდომაც მოიპოვება, მაგრამ უამისობაც ხომ არ შეიძლებოდა, რადგანაც ლეისტმა დიდი ხანი არ არის, რაც ხელი მოჰკიდა ჩვენის ლიტერატურის შესწავლას.

მართალს ბძანებს ავტორი, რომ „როგორც ყველგან, ისე საქართველოშიაც მწერლობა და მეცნიერება პირველ ხანებში სასულიერო წოდების ხელში იყო.“ ეს მწერლობა და მეცნიერება პირველადვე სასულიერო, სეკლესიო მიმართულებას დაადგა. ჩვენის ერის გონებრივი მოძრაობა აღმოცენდა ქრისტიანობის ნიადაგზე და მაშინდელი ბიზანტიური დოგმატიზმის ფერი და ხასიათი მიეცა. არა თუ მარტო გონებრივი მოძრაობა, არამედ მთლად ქართველების ცხოვრება ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზანტიის დოგმატიზმის განვლენამ ისე დიდს ხანს ვერ გასტანა ჩვენში, როგორც სხვაგან, მაგ., რუსეთში, სადაც ამ გავლენას ვპოვებთ ისევ XVII და XVIII საუკუნოებში. ძალა და ვითარება ამ გავლენისა სხვა იყო ჩვენში და კიდევ სხვა მართლ-მადიდებელს რუსეთში. საქართველომ მალე მოიშორა თავიდამ ბიზანტიური დოგმატიზმი და მეთორმეტე საუკუნემ შექმნა საკვირველი და შესანიშნავი საერო მწერლობა (კლასიკური ლიტერატურა). რუსეთში კი ისევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ბიზანტიური დოგმატიზმი გაჩხირული იყო ასეთს მეცნიერებაშიც კი, როგორც გეომეტრიაა

მოჰკიდებია და თუმცა წვიმა კოკი-პირულად ასხამდა, ცეცხლი მაინც თანდა თან ძლიერდებოდა თურმე და დროზედ ცეცხლის-მქრობელთ დასი რომ არ მიეშველებოდა, საქმე გაჭირდებოდაო.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

I

წელს რა მდგომარეობაში იქნება ჩვენი თეატრის საქმე, ძნელად შეიძლება კაცმა გადაწყვეტითა სთქვას, რადგანაც აქამდის ჯერ დასი არ შემდგარა, რეპერტუარი არ შევსებულა ახალის თხზულებებით და ძველებმა-კი საზოგადოებას საკმაოდ თავი მოაწყინეს.

ბ. ნებიერიძესა, რომელიც ამ წელს ანტრეპრენიორობას ცდილობს და აქტიორებს იქირავებს, დღემდის თითქმის ვერავინ დაუქირავებია, თუმცა ძალიან მეცადინეობს.

ახლად ამორჩეულს დრამატიულს კომიტეტსაც წაუყრუებია ყური და დღემდის სათეატრო ტანისამოსი და ნივთები ძველის მართველობისაგან არ ჩაუბარებია.

საკვირველია სწორედ მათი საქციელი! ჯერ თავებს იკლამენ, ყვირიან, ერთს ოროტორიალში არიან, რომ წევრის საპატიო სახელი მიიღონ და მერე კი, გულ-აცრუებულნი, საქმესაც აღარ ეკარებიან.

მმართველობის ამ გვარად ყურის წაყრუების მიზეზი ყველაზედ მომეტებულად მმართველობის თავსმჯდომარე არის. პირველი, რომ წესდების ძალით სხდომის მოხდენა მხოლოდ მას შეუძლიან და სხვა არავის. მეორე, რომ დღევანდელი თავსმჯდომარე ყველა ახლად ამორჩეულს წევრებზედ გამოცდილია და უნდა კარგად ესმოდეს, რამდენად საჭირო არის სათეატრო საქმეებზედ ზრუნვა და მოლაპარაკება. სამი წლის განმავლობაში დრამატიულს საზოგადოებას თეატრის საკეთილოდ თითი თითისთვის არ შემოუკრავს, ჩხირი არ გადაუბრუნებია და, რაც უწინ შეძენილი ჰქონია, ისიც ან მოუველოობით ჩრჩილსა და ჭუჭყს შეუჭამია, ან სრულიად გაუფუნტავს.

ყველა ამას მოვლა და გამოანგარიშება ეჭირვება და საზოგადოებისგან პატრონად დანიშნული მმართველობა მოვალეა იზრუნოს ამ საქმეზე, მოვალეა, რადგანაც მან იკისრა, მიიღო თავის თავზედ ეს მზრუნველობა, რაოდენადმე ძალა დაატანოს თავის ჩვეულებრივს გულ-გრილობას და საქმეს ხელი მოჰკიდოს.

მე არა ერთხელ გამიგონია ამ საგნის შესახებ მმართველობის ზოგიერთი წევრებისაგან, რომ ფული არ არის და რა უნდა გავაკეთოთო?

ეს სიტყვები მართალი არ არის, რადგანაც საწევრო ფული 2000 მანეთზედ მეტია მოსაგროებელი და ნახევარი რომ დაიკარგოს, ნახევარი მაინც მოგროვდება. ამას გარდა, თავად ილ. ჭ—თან არის ბ. ოქ—ვისაგან თეატრის სასარგებლოდ გამოგზავნილი ფული. კმას მიუმატეთ 160 მანეთი, რომელიც დანიშნული იყო პრემიისათვის, ვინც საუკეთესო პიესას დასწერდა და კონკურსისათვის წარმოადგენდა. ეს ფულიც ერთს პირსა აქვს მიბარებული და ჩვენ იმას შენახულადა ვსთვლით. ახლა წრევანდელი საწევრო შემოსავალი და გამოვა, რომ დრამატიულს საზოგადოებას იმდენი კიდევ დარჩენია, რომ სიცოცხლის ნიშნები მაინც არის გამოიჩინოს

თუნდა ეს ფულიც არ იყოს, ხელის გაუჭრველად, საიდგან რა მოვა, ვინ რას მისცემს? რამდენადაც ეს საზოგადოება ღარიბია, იმდენად ამ საზოგადოების მმართველობამ მეტი მზრუნველობა და ფხა უნდა გამოიჩინოს, მეტად უნდა ეცადოს, რომ ფულიც და სიმდიდრეც გაიჩინოს, თორემ მზა-მზარეულზედ ხომ მაგდენი ფიქრიც აღარაა საჭირო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმისთვის მაინც უნდა შეიყარნენ, რომ გამოსულა კაცი, ბ. ნებიერიძე და ამბობს: «ფული მაქვს, თეატრის საქმეს მინდა მოვახმარო, ანტრეპრენიორობა მინდაო».

როგორცა ხედავთ, ჩვენს დროში ფულიანი კაცი ძნელად იპოვება და მეტადრე იმისთანა ფულიანი, რომელმაც მოიწადინოს თეატრის საქმეზედ თავის სიმდიდრის მოხმარება. მაშასადამე, ბ. ნებიერიძე, თუ მართლა ასეთი კაცია, თეატრის საზოგადოებისთვის ცის მანანად უნდა ჩაითვალოს.

ბანა დრამატიული საზოგადოების მმართველობა მოვალე არ არის გამოიკვლიოს: ვინ არის ეს ნებიერიძე, რა ირის, შეუძლიან თეატრის საქმეების წაყვანა, მართლა აქვს ფული თუ არა, მართლა ქართული თეატრის აღორძინებაზედ ფიქრობს, თუ თეატრით გამდიდრება აოცნებებს?

ჩვენ ბოდიშს მოვიხდით ბ. ნებიერიძის წინაშე, რომ იმაზედ ასე ელაპარაკობთ. მიმეორებთ, რომ ჩვენს უკულმართ საუკუნეში ფულიანი კაცი და მასთან ისეთი, რომ თავის ფულების საქვეყნო საქმისთვის შეწირვა მოიწადინოს, ძნელად წარმოგვიდგენია. აი სწორედ ამისთვის დრამატიულმა საზოგადოების მმართველობამ უნდა შეიტყოს ყოველივე ეს ფული, საქმისა, შეიტყოს, აქვს რომელიმე საზოგადოება მომავალს ანტრეპრენიორს სათეატრო საქმეების წასაყვანად და ამის კვალობაზედ ან ლირსეული შემწეობა აღმოუჩინოს მას, ან უარი უთხრას შემწეობაზედ და თავისის საშუალებით ეცადოს სათეატრო დასის დაარსებას, თუნდ იმ წესით, რომლის ძალითაც დასი თავის წევრთ შორის ანაწილებს შემოსავალს ყოველ მათგანის შრომისა, ნიჭისა და გამოცდილების კვალობაზედ. შემდეგ წერილამდე.

ბაქტილა თეკთრიკა.

უცხოეთი.

გერმანია. ძარგა ხანია, რაც გაზეთებში ხმებია გავრცელებული, ეითომც ბერმანიის მმართველობა რუსეთის ქვეშევრდომთ ერეკებოდეს ბერლინიდგან. ბერლინის მთავრობას ამ გვარი განკარგულების საბუთად ის გარემოება თურმე მოჰყავს, ეითომც ამ ბოლოს დროს იქ მცხოვრებ რუსეთის ქვეშევრდომთა შორის ანარხიული მოძრაობა მეტის-მეტად გაძლიერებულიყოს. როგორც სჩანს ეს ხმები უსაფუძვლონი არ არიან და ამ ჟამად ბერლინურს გაზეთებს რუსების გამორეკის საქმე-ღა აქვთ სალაპარაკოდ. ზოგი ამ გაზეთთაგანი ჰკრებს ცნობათ იმის შესახებ, თუ რამდენს რუსეთის ქვეშევრდომს მიუღია პოლიციის უფროსისაგან უწყება ბერლინიდგან წასვლის თარბაზედ და იმ ვადაზედ, რომელიც ენიშნებათ მათ იქიდამ წასასვლელად; ზოგი გვაცნობებს განდევნილთა ცხოვრებას, ხასიათს და მოქმედებას; ზოგი გაზეთები კიდევ პირ-და-პირ ლანძღავენ მმართებლობას და ადმინისტრაციას ამ გვარი ძალადობა, რომლის თავისებურება ეხლაც ბევრისათვის სადავი-დარაბო საგანს შეადგენს...

შემდეგ კლასსიკურის ეპოქისა, ქართული მწერლობის ხვედრი სულ სხვაა. მალე მოისპო პოლიტიკური ძლიერება ჩვენის სახელმწიფოსი. სხვადა-სხვა გვარი მტარვალნი არ ასვენებდენ საქართველოს. ხალხს გონებითი მუშაობისათვის აღარ ეცალა. თუ სადმე იყო ეს მოძრაობა, ისევ მონასტრებში და საეპისკოპოზო ტაძრებში, მაგრამ აქ სასულიერო მწერლობას უფრო მისდევდენ, ვიდრე საეროს. ჩვენდა სანუგეშოდ, სურათი იცვლება მეთვრამეტე საუკუნეში. ამ დროს პოლიტიკური ცხოვრება საქართველოსი შეიცვალა. შინაური ცხოვრებაც წესიერად მოეწყო. უთანხმოება და შინაგანი არეულობა ცოტად თუ ბევრად მოისპო. საქართველომ დაიწყო ხშირი მისვლა-მოსვლა რუსეთთან, სადაც მთელი დასი განათლებულ ქართველთა იღვწოდა განათლების ასპარეზზედ. რუსეთიც ხელს უწყობდა ამ მოღვაწეობას. მეტადრე მმართებ-

---

(ამას მოწმობს გამოჩენილი სწავლული შჩაპოვი), თუმცა ამ მეცნიერებას არა რაიმე კავშირი არა აქვს მართლმადიდებლობის დოგმატიზმთან. *) სხვანაირად გამოიხატა ეს დოგმატიზმი ჩვენში. საქართველოში იგი შეიქმნა ცხოველ ძალად, რელიგიურ გრძნობად, რუსეთში კი უმეტესად გადაიქცა უსულო და უგულო ფორმალიზმად. აი, სხვათა შორის, სად არის მიზეზი, რომ რუსეთში მწვალებლობათა უმრავლესობა (секта, ересь) აღმოცენილია გარეგნობაზე, მართლმადიდებლობის გარეგან ფორმაზე. იმ დროს, როდესაც რუსეთში ბიზანტიურმა დოგმატიზმა თავის გარეგნობით მთლად შეჰბოჭა და შეჰხუთა ხალხის გონება, გრძნობანი, ჩვენში ამ დოგმატიზმმა სულ სხვა გავლენა იქონია ხალხის შემოქმედებითის ძალაზე, გონებითს მოძრაობაზე... ამითი, სხვათა შორის, აიხსნება ის მოვლენა, რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი მალე განთავისუფლდა დოგმატიური მონობიდამ, საეკლესიო მიმართულებამ მალე დაუთმო ადგილი საერო მიმართულებას. საქართველოში ეს მონება დაამხო სხვათა რელიგიურ სწავლათა ბრძოლამ. ამ დაუცხრომელმა ბრძოლამ გადააქცია მართლ-მადიდებლობა ჩვენში ცხოველ ძალად, მხურვალე გრძნობად. ამას თან მოჰყვა უარის-ყოფა გარეგნობისა, ფორმისა. ბონებითს მოძრაობას მიეცა ჯეროვანი მსვლელობა... სულ სხვა მოვლენას ვხედავთ რუსეთში. აქ მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიამ ძლიავს და ისიც არა-სრულიად შეამცირა ბიზანტიური დოგმატიზმის ძალა. ყოველივე ეს მკითხველმა უნდა იქონიოს სახეში, როდესაც ქართულს მწერლობაში შეხვდება ისეთს დიდებულს დროს, როგორიც მეთორმეტე საუკუნეა, როდესაც იბადება საკვირველი საერო ლიტერატურა და აზრი თავისუფლდება საეკლესიო გავლენიდამ. როგორც ბატ. ლეისტიც ამბობს, ამ ლიტერატურაზე გავლენა ჰქონდა სხვა ხალხთა გონებითს ძალას (სპარსთა, არაბთა) და ამ ძალამ თავისი ბეჭედი დაასვა მაშინდელს ჩვენს მოღვაწეობას. ბავლენა მიუცილებელი უნდა ყოფილიყო, თუმცა იქამდინ ვერ მიაღწია, რომ მოესპო ჩვენის მწერლობის თავისებურება. მართალს ბძანებს ლეისტი, რომ კლასსიკურს ლირიკულსა და ეპიკურს თხზულებებში იხატება მაშინდელი რაინდული ცხოვრება მისი საკვირველის სურათებით. ძლასსიკურის ლიტერატურის გარეგანს მხარეს, კილოსაც კი ცხადად ეტყობა უცხო ძალის გავლენა. გაზვიადებული ფანტაზია, ნაწყვეტ-ნაწყვეტები ზნეობითი სწავლისა (ეს ხომ აღმოსავლეთის გემოსია), ჩართულნი კლასსიკურ თხზულებებში და სხვ. გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი მაშინდელი გონებითი მოძრაობა აღმოსავლეთის ჩარხით ტრიალებდა. მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს ისიც, რომ მრავალი სპარსული და არაბული სიტყვები მოიპოვებიან ჯერ «ვეფხვის-ტყაოსანშიც» კი, რომლის თავისებურება ეხლაც ბევრისათვის სადავი-დარაბო საგანს შეადგენს...

*) შჩაპოვი ამბობს, რომ კიევის აკადემიაში სამების ერთ-არსებას, ღვთაების სამთა პირთა თანასწორობას ამტკიცებდენ გეომეტრიული თეორიემით—სამ კუთხიანის სამ კუთხეთა თანასწორობით...

ბითი მოქმედებისთვის უდანაშაულო უცხო-ქვეყნელთა შესახებ და იყვედრებიან, რომ მმართებლობა მოქმედობს ამ საქმეში ასე უსამართლოდ სხვა სახელმწიფოს სათრეთვო, რომელიც ვითომც თხოულობდეს თვის მოქალაქეთა ბერლინიდგან განდევნას. თუ რამდენად მართალია უკანასკნელი გარემოება,— ეს ჯერ სწორედ არავინ იცის; ნამდვილი მხოლოდ ის არის, რომ რუსეთის ელჩი არავითარს საშუალებას არა ხმარობს თვის თანამემამულეთა სასარგებლოდ და არ ესარჩლება მათ ამ საქმეში. ლაპარაკობენ, ვითომც ერთს რუსეთის ქვეშევრდომს მიემართოს თ. ოლლოვის მფარველობისთვის და ვითომც ამ უკანასკნელს ეთქვას, რომ «მე უფლება არა მაქვს სხვის სახლში პატრონობა გავწიოვო. ნაციონალური გაზეთის სიტყვით, რუსეთის ქვეშევრდომთა რიცხვი ბერლინში სულ 15,000-მდინ იქნება და მათგანს ჯერ მარტო 1,800 კაცს მიულია პოლიციის უწყება იმის თაობაზედ, თუ როდემდინ-ლა შეუძლიანთ მათ ბერლინში დარჩენა. პოლიციის მოქმედებას ერთნაირი სისტემა ეჭირევა: ის ერეკება უფრო იმათ, რომელთაც საზოგადოებაში დიდი და მკვიდრი ადგილი არ უჭირავთ, მაგრამ ძალადობის ხასიათი კი არა აქვს ამ მოქმედებას.

— ამ უკანასკნელს ხანებში ავსტრო-ვენგრიას და იტალიას ცოტა უთანხმობა ჩამოვარდნიათ ურთიერთ შორის იმის გამო, რომ იტალიას ისეთს ადგილზედ დაუწესებია სასამზღვრო კარანტინები და ისეთს პირობებში დაუყენებია, რომელნიც ცოტად თუ ბევრად საზარალონი არიან ავსტრო-ვენგრიისთვის. ამ უთანხმოების გამო ევროპიულს დიპლომატიას მოუსაზრებია, რომ საჭიროა გამოიცეს საზოგადო ხალხთა-შორებრივი სანიტარული კანონი, რომლითაც განსაზღვრულ უნდა იქმნას უფლება თვითოეული სახელმწიფოსი კარანტინების დაწესების შესახებ. ამბობენ, რომ ბისმარკს, რომელსაც საზოგადოდ კონფერენციები არ მოსწონს, განზრახვა აქვს თითონ იკისროს მოთავობა და შეადგინოს კონფერენცია ხსენებული კანონის დასადგენებლად. ბისმარკის აზრით, ამავე კონფერენციაზე უნდა განისაზღოს ეგვიპტის სანიტარული მდგომარეობაც.

ავსტრო-ვენგრია. ვენგრიის მინისტრ-პრეზიდენტი ტისა იმლში იყო და იმის უკან დაბრუნების შემდეგ ვენგრიულმა ჟურნალ-გაზეთებმა უფრო მეგობრულად და თანაგრძნობით დაიწყეს ლაპარაკი ჩეხებზედ. ერთს სამინისტროს ორგანს მოჰყავს ვენგრიელთა პრაგაში წასვლის ამბავი ნაციონალური თეატრის გახსნაზედ დასასწრებლად და ის გარემოება, თუ რა ამბითაც მიიღეს ჩეხებმა ვენგრიელები ხსენებულ ქალაქში, და ბოლოს ეს ორგანი დიდს და გულწრფელ სიხარულს ეძლევა და ამბობს, რომ ეს გარემოება ნიშანია ამ ორ ხალხთა შორის დაახლოვებისაო.

ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის საგენტოსი'')

აგვისტოს 7-ს

ტაშკენტი. ყოველ-დღე 120 ფუთი აბრეშუმი მიდის აქედამ ფოსტით იარმარკაზედ იმის გამო, რომ დიდ-ძალი აბრეშუმი მოდის აქ კოკანიდგან და სხვა ქალაქებიდგან; აბრეშუმის ამ გვარი გზავნა ერთს თვეზე მეტს გასტანს.

შანხაი. 35 ცენზორმა წარუდგინა იმპერატრიცას წერილი წინაღიდეგ საფრანგეთის მიერ წარმოდგენილ პირობათა. ამბობენ რომ იმპერატრიცას გადაუწყვეტია ომის გამოცხადება; მოლაპარაკება შესწყვიტეს ტიანძინში საფრანგეთის ელჩთან; ჩინეთის ჯარები კელუნგზედ მიდიან.

აგვისტოს 8-ს.

პეტერბურგი. აგვისტოს 6, სადილზე, კრასნოსელსკის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა დალია ავსტრიის იმპერატორის სადღეგრძელო, რადგან იმ დღეს მისი დაბადების დღე იყო. მეზიკამ ავსტრიული ჰიმნი დაუკრა. სადილზე დამსწრენი ავსტრიის ლენტებით იყვნენ.

ფინანსთა მინისტრად ნამყოფი, ღღეს სახელმწიფო რჩევის ეკონომიის დეპარტამენტის წევრი აბაზა დანიშნულ იქმნა ამ დეპარტამენტის თავსმჯდომარედ.

იუსტიციის სამინისტრო შეუდგება ნაფიცთა მოსამართლეთა შესახებ დადგენილ გარდაწყვეტილებათა გარდახედვას იმ აზრით, რომ განკარგებელ იქმნას მათი კრებული.

გუშინ ბუშკინის ქუჩის ბაღჩაში ამართეს ძეგლი პუშკინისა შინაგან საქმეთა მინისტრის, გრადონაჩალნიკის, ქალაქის თავის, პოეტის შვილის--გენერალ პუშკინისა, ლიცეის დეპუტაციათა და მწერალთა თანადასწრებით. პოეტი გამოქანდაკებულია ზეზე-მდგომელი, სერთუკით, გულ-ხელ დაკრეფილი იდლიაში წიგნით.

ბერლინი. გუშინ გრაფი კალნოკი გაემგზავრა ვარცინიდგან ვენას.

რომი. აგვისტოს 6 ჩრდილოეთს იტალიაში ხოლერით ავად-გახდა 42, მოკვდა 22 სული.

მადრიდი. ზორილიას განუჩინა სასამართლომ მის დაუსწრებლად სიკვდილით დასჯა უკანასკნელ სამხედრო აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

პარიზი. გაზეთები გვაცნობებენ, რომ ადმირალს კურბეს ბრძანება მოსვლია დაიპყროს ჭუ-ჩე-უ.

განცხადებანი

პირველ სექტემბერს ამა წლისას, თანახმად სკოლის კრების განჩინებისა, მიღებულ იქმნებიან პირველ კლასსში სასოფლო მეურნეობის სკოლაში სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, ოტ-და-ათი უმაწვილი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა, და ეროვნობისა. გამოტდა უმაწვილებისა არ იქნება, ისინი შეირიცხებიან შაგირდებათ უეგზამენიოთ. ბავშვები უნდა იყვნეს არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თორმეტი წლისა, მრთელი სხეულისა და ჯანისა.

კისაცა სურს უმაწვილების მიცემა სკოლაში უნდა გამოუცხადოს თავისი თხოვნა პირად, ანუ წერილით, სკოლის მზრუნველს. რადგანაც სკოლის შაგირდები მოსიარულენი არიან, ამისთვის იმათ დედ-მამამ, ანუ მოადგილემ, უნდა გაუჩინონ ბინა უმაწვილებს ან იმავე სოფელში, სადაც სკოლა წარმოებს, ან ახლო-მახლო სოფლებში. სოფ. წინამძღვრიანთ-კარში ერთი კლასი აშენებს ქვითკირის სახლს «სადგომს შაგირდებისთვინ» და თვითო უმაწვილის შესანახავს თხოულობს თვეში ექვს მანთს.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი.

(3—1)

ლობის წრეებში სცილობდენ გადასახლებული ქართველები „აგენტებად“ გაეხადათ და იმითი დახმარებით საქართველოსათვის ეჩვენებინათ—თუ რა საჭირო და სასარგებლოა რუსეთთან მკვიდრი კავშირი. ეს კავშირიც ხომ მალე დაარსდა... მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენს ლიტერატურას ცხადად ეტყობა ძალა, ძლიერება. მოძრაობას შეხვდებით სხვა-და-სხვა მეცნიერების სფერაში, რასაც ვერა ვპოვებთ კლასსიკური მწერლობის დროს. ამისათვის მეთვრამეტე საუკუნე ჩვენში შესანიშნავია თავისი სიერცით, აზრის სიღრმე-სიგანით. ფილოსოფიურმა და მეცნიერულმა აზრმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. თვით მოძრაობის ხასიათი, მიმართულება სხვა შეიქმნა. საქართველო მკვიდრად დაადგა ევროპის განათლების გზას. და თუ წინად სპარსელებს და არაბელებს ჰქონდათ ჩვენზედ გავლენა, ეხლა ეს გავლენა ევროპამ დაიპყრო...

ახალი მწერლობა იწყობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ. რას ეხედავთ ამ დროს საქართველოს შინაგანს ცხოვრებაში? იმას, რასაც თითონ რუსეთში. იმ დროს რუსეთის მოწინავე საზოგადოება ევროპის ცხოვრებას ჰბაძავდა. ეს მიბაძვა შეეხებოდა ცხოვრების გარეგნობას, გარეგანს ფორმებს. შინაარსი, აზრი ცხოვრებისა უყურადღებოდ იყო დატოვებული. საქართველოს მაღალი წოდებაც ამ გზას დაადგა,—ფორმა აღვიარა ცხოვრების საგნად, შინაარსი, აზრი უარ-ჰყო. გაღმერთდა „რუსეთუმობა“ და ეს უკანასკნელი ხომ უმეტესად შეიცავდა ცხოვრების გარეგანის ფორმის თაყვანისცემას. ამნაირმა გარემოებამ დაჰბადა შემდეგი მოვლენა: უმაღლესი წოდება მიჰყვა მდიდრულს, განცხრომით ცხოვრებას, ეპიკურიულს ფილოსოფიას. საზოგადობრივი აზრი კი დაიხშო, ძველებური ცხოვრების ასპარეზი მოცული შეიქმნა არა-რაობით. აი რისათვის მაშინდელის პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელნი, ა. ჭავჭავაძე და ბარათაშვილი საკვირველის სინამდვილით გვიხატავენ თანამედროვე ცხოვრებას. პირველი მათგანი წარმომადგენელია ეპიკურიული ცხოვრებისა, ფილოსოფიისა. მეორე სულ სხვას ჰქადაგებს. მას გულს უწყალავს სინამდვილის არა-რაობა, სიფუჭე, სიყალბე. ბარათაშვილის «ფიქრი შავად მღელვარი» გამოწეული იყო ამ სიყალბით, სიფუჭით, ყოველს მის ლექსში მოისმის უკმაყოფილება, უარის-ყოფა მაშინდელის სინამდვილისა და ეს უკანასკნელი ხომ მოკლებული იყო გონიერებას, აზრს. ამ მხრივ ბარათაშვილი მართლაც რომ «ბაირონისტობს», თუმცა მის და ბაირონის შორის დიდი მანძილიცა სდევს და აი რისთვის: ბარათაშვილს სახეში ჰქონდა თავისი სამშობლოს თანამედროვე ცხოვრება; მან მწარე და სულის აღმაშფოთებელი სიტყვებით აღნიშნა ეს ცხოვრება და უარ-ჰყო იგი. ამისათვის ბარათაშვილი ჩვენი პირველი პოეტია, როგორც პოეტი—მამულის-შვილი, უარ-მყოფელი. არც უდიდესი ბაირონი ურიგდებოდა სინამდვილეს, მაგრამ მისი უარის-ყოფობა ფართო და ერცელია. მან უარ-ჰყო მთლად კეტობრიობის ცხოვრება, კეტობრიობის მსელელობის სიყალბე, უკულმართობა (მკითხველს ეცოდინება, რომ ბაირონზე დიდი გავლენა ჰქონდა საფრანგეთის კრიტიკულ ფილოსოფიას და კერძოდ რუსსოს სწავლას). და თუ ბარათაშვილი იყო პოეტი—მამულის-შვილი, ნაცვლად ამისა უდიდესი მოძღვარი კეტობრიობისა ბაირონი იყო პოეტი — კოსმოპოლიტი, რომელიც ცხარედ შოლტავდა კეტობრიობას ცოდვისთვის, დანაშაულობისათვის. საერთო და საზოგადო მიმართულება ის არის, რომ ორთავენი უარ-ჰყოფდენ ცხოვრების სინამდვილეს, არა-რაობას.

ნ. ურბნელი,

(შემდეგი იქნება)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

ალექსანდრესად წოდებულის ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მზრუნველობა, დანიშნული „ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელის საზოგადოებისაგან“, აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურების საცნობლად, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრების სურვილისამებრ, ხსენებულის სკოლის პირველისა და მეორე განყოფილების პარალელური კლასსები გადატანილ იქმნება წელს ძველსენაკს, სენაკის მაზრაში.

საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანახმად ეს ძველის სენაკის სკოლა არის დანიშნული ყმაწვილების მისაღებად სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებიდგან და ქუთაისში დარჩენილი სკოლის კლასები დანიშნულია ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებისათვის.

წლიური სწავლა, როგორც ქუთაისის, ისე სენაკის სკოლაში, დაიწყება მომავალს პირველს სექტემბერს და ვისაც ამ სკოლებში ყმაწვილების მიბარება სურს, უნდა მიმართოს თხოვნით: ქუთაისში — მზრუნველობის სეკრეტარს თავადს ანტონ ნიკოლოზის-ძეს ლორთქიფანიძეს, მცხოვრებს ნემცების ქუჩაზედ, კნეინა ლ. მაჭუტაძის სახლებში, და ძველს სენაკს — სკოლის ზედამხედველს სამსონ ყიფიანს.

თხოვნა ყმაწვილების მისაღები და ამასთანავე მეტრიკული, ან მღვდლის მოწმობა ყმაწვილების დაბადებასა და მონათელაზედ, უნდა წარუდგინონ აღნიშნულს პირებს ოცის აგვისტოდგან პირველს სექტემბრამდის.

სკოლის პირველს განყოფილებაში მიიღებიან მეშვიდესა და ან მერვე წელში მდგომი ყმაწვილები, რომელთაც წიგნი ჯერ სრულიად არ უსწავლიათ და მეორე განყოფილებაში — ცხრა წლისაზედ არა უხნესი ბავშვები, რომელთაც უნდა იცოდენ ქართული წერა-კითხვა და ყოველ გვარი ანგარიში ათამდის.

ქუთაისის სკოლაში წელს მიიღებიან ყმაწვილები მხოლოდ სკოლის პირველს განყოფილებაში, რომელშიაც ირიცხება ორმოცი თავისუფალი ადგილი, და მეორესა, მესამესა და მეოთხე განყოფილებაში კი ყველა ვაკანსიები დაჭერილია.

ძველის სენაკის სკოლის პირველს განყოფილებაში არის თავისუფალი ორმოცდა ერთი ვაკანსია და მეორეში ოცდა რვა, რადგანაც ერთი პირველის განყოფილების და თოთხმეტი მეორე განყოფილების მოწაფეები უნდა გადავიდენ ქუთაისიდგან სენაკის სკოლის ნაწილის გადატანისათანავე.

ბანკის საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანახმად, ზემოაღნიშნულის თავისუფალის ვაკანსიებისაგან სენაკის მაზრას ეკუთვნის ოცდა-რვა ზუგდიდისას — ოცდა-ოთხი, ოზურგეთისას — ჩვიდმეტი, ქუთაისისას — თუთხმეტი, შორაპისას — ცამეტი, რაჭისას — შვიდი და ლეჩხუმისას — ხუთი.

(3—2)

ინლისური რკინის კრაოტები.



ერთის სწოლი 7 მანეთიდგან და ორის სწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალასით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდეგ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის შეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, პარისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკეები, სამარილეები, კარბიტის საფუსკეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალეირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფეები და რეკოლვერები, ბიქები, ზარიადები, კასიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუჭი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნაბრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—35)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |